სოფლის მეურნეობის განვითარება - იანვარი-ივნისი, 2017

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

გამოცემა #98 07.09.2017

სოფლის მეურნეობის დარგში:

• პროდუქციის გამოშვება უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში მთლიან შიდა პროდუქტში სეზონურად 7.8%-დან 10.3%-მდე მერყეობს;
• 2017 წლის პირველ კვარტალში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა -0.3 მილიონი დოლარი შეადგინა;
• 2017 წლის პირველ ნახევარში ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა თითქმის გაუთანაბრდა უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობას;
• 2017 წლის პირველ ნახევარში საქართველოში პროდუქტების იმპორტი 2.4-ჯერ აღემატება ექსპორტს.

სოფლის მეურნეობის[1] წილი მთლიან შიდა პროდუქტში, 2010-2017



სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა, 2010-2016



* წინასწარი

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

[1] მარცვლოვანი და სხვა კულტურების მოყვანა, რომლებიც არ შედიან სხვა კატეგორიებში; ხილის, კაკლის, სასმელებისა და სუნელ-სანელებლების წარმოებისთვის საჭირო კულტურების მოყვანა; ბოსტნეულის მოყვანა, სპეციალიზებული მებაღეობა და სანერგე პროდუქციის წარმოება; მეცხოველეობა; სასოფლო სამეურნეო მომსახურება; მეტყევეობა და ხე-ტყის დამზადება; თევზჭერა, მეთევზეობა.

2017 წლის პირველ კვარტალში სოფლის მეურნეობამ მთლიანი შიდა პროდუქტის 9% შეადგინა (635.1 მილიონი ლარი). წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით აღნიშნული მონაცემი 0.5 პროცენტული ერთეულითაა შემცირებული (-25.6 მილიონი ლარი). უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში სტაბილური ხასიათისაა და სეზონურად 7.8%-დან 10.3%-მდე მერყეობს.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებაში უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში ლიდერობს მეცხოველეობა, რომელსაც მემცენარეობა და სასოფლო-სამეურნეო მომსახურება მოყვება. ნიშანდობლივია, რომ 2017 წლის პირველ კვარტალში მეცხოველეობამ სოფლის მეურნეობის 70% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო მომსახურება ერთადერთია, რომელიც უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში სტაბილური, მზარდი ტენდენციით ხასიათდება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში და წილი მთლიან მოცულობაში, 2010-2017



სოფლის მეურნეობაზე ეროვნული და უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა და საპროცენტო განაკვეთი, 2010-2017



* წინასწარი

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სოფლის მეურნეობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მცირეა და უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში თავის მაქსიმუმს 2014 წლის მეორე კვარტალში მიაღწია, როდესაც მთლიანი პირდაპირი ინვესტიციების 4.4% (8.7 მილიონი დოლარი) განხორციელდა სოფლის მეურნეობაში. 2017 წლის პირველ კვარტალში სოფლის მეურნეობაში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა -0.3 მილიონი დოლარი შეადგინა.

სოფლის მეურნეობაზე გაცემული სესხების რაოდენობა, როგორც ეროვნული ასევე უცხოური ვალუტით, 2013 წლიდან იწყებს ზრდას. აღნიშნული ზრდა შეიძლება აიხსნას სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის განვითარების მზარდი ხელშეწყობით. საინტერესოა, უკანასკნელ პერიოდში უცხოურ და ადგილობრივ ვალუტაში გაცემული სესხების შედარება. 2017 წლის პირველ ნახევარში უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა (49.8 მილიონი ლარი) 6.5%-ით აღემატება ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობას (46.8 მილიონი ლარი), 2016 წლის პირველ ნახევარში 344.4%-ით, ხოლო 2016 წლის მეორე ნახევარში 92.7%-ით.





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2014 წლის საყოველთაო აღწერამდე არსებული ინფორმაციით, საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 4.4 მლნ კაცს, მისი 54% ცხოვრობდა ქალაქად, ხოლო დარჩენილი 46% - სოფლად. 2014 წლის საყოველთაო აღწერით საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 3.7 მლნ კაცს, მისი 57% ცხოვრობს ქალაქად, ხოლო 43% - სოფლად.

2017 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით სოფლის მეორნეობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 11,375 ადამიანს შეადგენს, რაც 8.2%-ით ნაკლებია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. 2017 წლის მეორე კვარტალში სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა წილი მთლიანად ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 1.8%-ს შეადგენს.

2017 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით სოფლის მეურნეობაში დაქამებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება შეადგენს 688 ლარს. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის მეორე კვარტალთან შედარებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება გაზრდილია 148 ლარით, და 2017 წლის პირველ შედარებით გაზრდილია 14 ლარით.





წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

[1]სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა, სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის დარგში კვლევითი ღონისძიებების განხორციელება, ერთიანი აგროპროექტი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები და სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა

2017 წლის დამტკიცებულ სახელმწიფო ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის სამინისტროს შვიდი პროგრამისთვის 237.8 მილიონი ლარია გამოყოფილი, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 2.3%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2016 წელთან შედარებით, მიუხედავად სამი ახალი პროგრამის დამატებისა, ასიგნებების ჯამური მოცულობა 16.4%-ით არის შემცირებული.

2017 წლის პირველ ნახევარში საქართველოდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტმა 89.8 მილიონი დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია რომ მთლიანი ექსპორტირებული საქონლის 33.3% (29.9 მილიონი დოლარი) თხილი და სხვა კაკალია, რომელსაც სიდიდით ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ცხვრის ან თხის ხორცი მოყვება.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტი 2.4-ჯერ აღემატება ექსპორტს და ჯამში 217.6 მილიონ დოლარს შეადგენს. იმპორტირებულ სოფლის მეურნეობის პროდუქტებში ლიდერობს ხორბალი და მესლინი, რომელმაც მთლიანი იმპორტის 21.9% (47.7 მილიონი დოლარი) შეადგინა. ხორბლის და მესლინის შემდეგ ყველაზე დიდი ღირებულების იმპორტირებული საქონელია შინაური ფრინველის და ღორის ხორცი.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	III 2015	IV 2015	2015	I 2016	II 2016*	III 2016*	IV 2016*	2016*	I 2017*
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	3545.0	6682.3	13988.1	3018.8	3642.6	3767.3	3784.5	14332.8	3195.7
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	950.5	994.7	3766.6	811.4	979.1	1012.6	1017.2	3852.5	859.5
მშპ-ს რეალური ზრდა	2.5%	2.9%	2.9%	2.6%	3.0%	2.3%	2.8%	2.7%	5.1%
ინფლაცია			4.0%					2.1%	
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	489.0	267.9	1564.5	388.6	445.3	463.3	330.3	1645.4	403.3
უმუშევრობის დონე			12%					11.8%	
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	4195	4315	4315	4396	4404	4461	4515	4515	4581
სიღარიბის დონე (ფარდობითი)			20.1%					20.6	

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://comtrade.un.org/data/ საპროგნოზო*
საქართველოს ეროვნული ბანკი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო